დამატებითი ინფორმაცია არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ

ხელახლა ატვირთულ დოკუმენტაციაში სრულადაა გათვალისწინებული და კორექტირებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 მარტის #1163837 გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული ხარვეზები. კერძოდ: 1, 2, 3, 4, 5 პუნქტები ეხება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რომლებიც იგივე დადგენილების მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, შეტანილია დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის განმარტებით ბარათში და მათ სათითაოდ ერთვის განმარტებები, რის მიხედვით და როგორაა თითოეული მათგანი ნაანგარიშები. განმარტებით ბარათს ასევე დაემატა ზემოთ აღნიშნული მე-6 პუნქტის დანარჩენი ნაწილით მოთხოვნილი ინფორმაცია.

საინფორმაციო დაფაზე (ბანერზე) დასატანი ინფორმაციის შემადგენლობის შესახებ დოკუმენტაციის ატვირტვამდე მივმართეთ მერიის მე-2 სართულზე, მე-7 ოთახში კონსულტანტს, რომელმაც აგვიხსნა, რომ დაფაზე ასახული ინფორმაციის შემადგენლობის რეგულაციას არ ახდენს რომელიმე დებულება და ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ნიმუშად თბილისში უკვე გამოკრული ბანერები, ან იგივე საკონსულტაციო ოთახში წინა წლებში მიღებული ნიმუში. დაფის ზომა 60*90სმ-ზეა.